შ.პ.ს.

„კოდექსსერვისი“

CodexService Co. ltd.

ს/კოდი 212849159

№ 08/12 12.08.2019 წ.

ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეული,

მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი ჭიღვარიას

ბატონო გიორგი,

მ/წლის 18 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №132 ხელშეკრულების (NAT190006366) შესაბამისად გიგზავნით ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კოდი 03.01.23.710) მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს, არატექნიკური რეზიუმესა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს.

დოკუმენტები მომზადებულია საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2-715 (26.07.2019წ.) ბრძანებით დამტკიცებული № 71 სკოპინგის დასკვნაში მითითებული მოთხოვნებით.

შესაბამისად ეს მასალები უნდა გადაეგზავნოს სამინისტროს მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კანონის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს შესაბამის ადმინისტრაციულ საქმისწარმოების ვადებს.

ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №132 ხელშეკრულებაში (NAT190006366) არ იყო გათვალისწინებული სამინისტროში საქმისწარმოების ვადები, გთხოვთ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგვიგრძელოთ მინიმუმ 63 დღით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად.

დანართები:

1. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 2 ეგზ და ელექტრონული ვერსია;

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმების პროექტი - 3 ეგზ და ელექტრონული ვერსია;

3. არატექნიკური რეზიუმე - 2 ეგზ და ელექტრონული ვერსია;

4. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;

5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

7. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

8.მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტთა და კონსულტანტთა სია - 1 ეგზემპლიარი.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით

გოჩა გუბელაძე

დირექტორი

Digitally signed by Gocha Gubeladze
DN: CN=Gocha Gubeladze, SERIALNUMBER=60002004040, O=Citizen, C=GE
Reason: I am the author of this document
Location: your signing location here
Date: 2019-08-13 15:51:39
Foxit PhantomPDF Version: 9.5.0